პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი № 14 (11018) | შაბათი, 18 იანვარი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

სესიამ მოისმინა ამხ. კ. ს. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და ამხ. ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის სხდომის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. კ. ციმაკურიძე. ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის

გუშინ მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. დეპუტატები — მშრომელთა წარგზავნილები რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში განხილავენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლებიც ითვალისწინებენ რესპუბლიკის სოციალისტური წარმოების ყველა დარგის შემდგომ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებული დავალებანი გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან, პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებებიდან.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მრეწველობის იმ დარგების სწრაფი ტემპით განვითარება ქმნის მტკიცე საფუძველს მთელი სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული ჩვენს რესპუბლიკაში მარგანეცის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია მარგანეცის სასაქონლო მადნის წარმოების გაღიდება 15.1 პროცენტით გასული წლის დონესთან შედარებით. გეგმა ასევე გადიდებულ დავალებებს ითვალისწინებს ქვანახშირის მრეწველობის დარგში. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ღირსების საქმეა იბრძოლონ გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, არსებული რეზერვების, მოქმედი შახტების საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისათვის.

სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. გეგმა ითვალისწინებს ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის, გუმათისა და შაორის ჰიდროელექტროსადგურების ახალ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემას. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში დამთავრდება მინგეჩაურიდან თბილისამდე ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებას, რადგან მისი სწრაფი ტემპით ზრდა ხელს უწყობს ძვირფასი ნედლეულის ეკონომიას, სახალხო მოხმარების მთელი რიგი საქონლის წარმოების გაფართოებას. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია ქიმიურ მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდება 33.6 პროცენტით 1957 წელთან შედარებით.

გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ზრდას 7.1 პროცენტით 1957 წელთან შედარებით. ამ ამოცანის პირნათლად შესასრულებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მრეწველობის ყველა დარგში არსებული რეზერვების სრულად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას ითვალისწინებს. ყურადღების ცენტრში დგას მეჩაიეობის, მევენახეობის, მებაღეობის და მეცხოველეობის შემდგომი განვითარება. სოფლის მეურნეობის ყველა დარგში წარმატებათა მოპოვების საფუძველია სოფლად ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესება, მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევების მტკიცედ დანერგვა წარმოებაში, შრომის დანახარჯის შემცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულზე, სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომა. გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება ხელს შეუწყობს პროდუქტების სიუხვის შექმნასა და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

დღითიდღე უმჯობესდება რესპუბლიკის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ამას მოწმობს ისიც, რომ წელს საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 326 მილიონი მანეთი, ანუ 48 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს. მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 236 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც 60 პროცენტით მეტია გასულ წელთან შედარებით.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი შთამაგონებელი პროგრამაა იმ გრანდიოზული სამუშაოებისა, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა შესრულდეს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია მოიწონებს და დაამტკიცებს სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტს, რადგან ისინი რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესებს გამოხატავენ. წინსვლისა და გამარჯვების გზებს სახავენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია მიმდინარეობს რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. როდესაც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პირნათლად შესასრულებლად დარაზმულნი, იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

მიმდინარე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებით რესპუბლიკის მშრომელები თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

17 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

სესია შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ძმადავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საუბილეო და მეცხრე სესიების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ისინი მზად არიან გაამრავლონ თავიანთი წვლილი ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი აყვავების საქმეში.

სესიის გახსნამდე დიდი ხნით ადრე ვრცელ დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული დეპუტატები — ხალხის რჩეულები. მათ შორის არიან სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა ნოვატორები, წარმოების მეთაურები, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები. საბჭოთა არმიის მეომრები. ისინი შეიკრიბნენ იმისათვის, რომ განიხილონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებასთან მეექვსე ხუთწლედის მესამე წელს.

დღის 12 საათია. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე და მისი მოადგილეები ვ. დ. კოზაევი, ლ. კ. ნაზაძე.

ლოჟებში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები. აქ ადგილებს იკავებენ ვ. პ. მგავნაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე.

სესიის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა.
2. საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

ორივე ეს საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევა.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

უკანასკნელი ორი საკითხი განსახილველად შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

თავმჯდომარე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. დ. კუპრაძე აცხადებს, რომ სესიას ესწრება ეგვიპტელ კოოპერატორთა დელეგაცია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სახელით იგი გულითადად მიესალმება ძვირფას სტუმრებს და მათი სახით მთელ გმირ და თავისუფლებისმოყვარე ეგვიპტელ ხალხს, უსურვებს მათ წარმატებებს ეგვიპტის თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და აყვავებისათვის ბრძოლაში. დეპუტატები ფეხზე ამდგარნი მხურვალე ტაშით მიესალმებიან ეგვიპტელი ხალხის წარმომადგენლებს.

შემდეგ დღის წესრიგის საკითხების განხილვის მიღებული წესის თანახმად, მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება „საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ვ. ჭირაქაძის თანამოხსენება და დაიწყო განხილვა მოხსენებებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: პ. ი. ჩხობაძე (ქვედა საქარის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი), ა. ე. მელაძე (ზოდის საარჩევნო ოლქი, ჭიათურის რაიონი), გ. ი. ბერულავა (ნაბაკევის საარჩევნო ოლქი, გალის რაიონი), მ. გ. მაისურაძე (თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქი, თეთრი წყაროს რაიონი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

• • •

17 იანვარს საღამოს 6 საათზე გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის და საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: ი. ი. მარგველაშვილმა (ჩაისუბნის საარჩევნო ოლქი, ბათუმის რაიონი), გ. ი. ძაგოევმა (ლენინგორის საარჩევნო ოლქი, ლენინგორის რაიონი), ი. ფ. სამეოვმა (რუსთავის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი), ე. ლ. ანდრონიკაშვილმა (ბულგანინის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი). გ. ი. ჩოგოვაძემ (წალკის საარჩევნო ოლქი, წალკის რაიონი), დ. ხ. საბაშვილმა (ნასაკირალის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), ზ. მ. ტრდატინმა (ახალციხის — ჯაფარიძის საარჩევნო ოლქი, ახალციხის რაიონი), ჯ. ნ. ლომაშვილმა (წაღვირის საარჩევნო ოლქი, ბორჯომის რაიონი), გ. ნ. ჯიბლაძემ (ბოორი სვირის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი), ჯ. ბ. მამედოვმა (შუმიანის საარჩევნო ოლქი, მარნეულის რაიონი).

18 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აფხაზეთის ასს რესპუბლიკური საარჩევნო კომისია

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ჰრეზიდიუმმა დაამტკიცა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების აფხაზეთის ასს რესპუბლიკური საარჩევნო კომისია.

კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ხ. ს. ბლაჟბა, მოადგილედ — აფხაზეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. ჯახუა. მდივნად — პარტიის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი დ. ლ. ქუჩულორია.

კომისიის წევრებს შორის არიან სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის ბარათაშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მოწინავე კოლმეურნე ა. ვ. გოგუა, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის სამთო ინჟინერი გ. ბ. გოროდნიჩევა, ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ნ. ბულისკერია, სოფლის ბიბლიოთეკის გამგე ზ. ნ. ცომცა, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სოხუმის საზღვაო კლუბის უფროსი ინსტრუქტორი კ. ნ. კრივონოსოვი და სხვები, სულ ცამეტი კაცი. (საქდესი).

საქართველოდან გაემგზავრნენ კაიროს კონფერენციის მონაწილენი

საქართველოში სამ დღეს იყო ინდოეთის დელეგაცია ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრის რედი გოვინდას მეთაურობით. ეს დელეგაცია მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს კონფერენციაში. საქართველოში იყო აგრეთვე წევრი ცეილონის დელეგაციისა ამ კონფერენციაზე ჟურნალისტი სარიფუდინი. 17 იანვარს ისინი მოსკოვში გაფრინდნენ.

სტუმრებმა დაათვალიერეს რუსთაველის მეტალურგიული ქარხანა, მეტალურგთა სასახლე, საბავშვო ბაღი. იყვნენ მუშათა ბინებში. სტუმრები იყვნენ აგრეთვე თელავის რაიონის სოფელ რეისპირის კოლმეურნეობაში. დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში „ოტელოს“ წარმოდგენაზე.

ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრები რედი გოვინდა, ვ. კ. დჰაგე და დასავლეთ ბენგალიის შტატის საკანონმდებლო ასამბლეის წევრი სუდირ მულიქ ჩოუდჰური მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ. (საქდესი.)

1958 წლის 20 იანვარს 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 8) გაიხსნება

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXII ყრილობა

ყრილობის დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (მაჩაბლის ქ. № 11) დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ბირმის სახელმწიფო მოღვაწეთა საპასუხო დეპეშები კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინისადმი

ბირმის კავშირის დამოუკიდებლობის მე-10 წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა ბირმის კავშირის პრეზიდენტს უ ვინ მაუნგსა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრს უ ნუს, გაუგზავნეს მისალოცი დეპეშები, რომელთა ტექსტები საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა 1958 წლის 4 იანვარს.

ქვემოთ მოთავსებულია ბირმის კავშირის პრეზიდენტის უ ვინ მაუნგისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს საპასუხო დეპეშების ტექსტები.

დეპეშა

მის აღმატებულებას
მარშალ კ. ვოროშილოვს
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
მოსკოვი, კრემლი.

ჩემი ხალხი მიერთდება იმაში, რომ გულწრფელი მადლობა მოვახსენო თქვენს აღმატებულებას და თქვენი სახით — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხს თქვენი თავაზიანი წერილის გამო, რომელიც გამოგვგზავნეთ ჩვენი დამოუკიდებლობის მეათე წლისთავის გამო და რომელიც შეიცავს მოლოცვასა და საუკეთესო სურვილებს.

დარწმუნებული ვართ, რომ მეგობრობა, რომელიც ბედნიერად არსებობს ჩვენს ორ ქვეყანას შორის, სამარადისო იქნება.

ვინ მაუნგი,
ბირმის კავშირის პრეზიდენტი.

რანგუნი.

მის აღმატებულებას
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს
ნ. ს. ხრუშჩოვს
მოსკოვი.

ბირმის კავშირის მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით ნება მიბოძეთ მოგახსენოთ გულითადი მადლობა თქვენი გულთბილი წერილისა და კეთილი სურვილებისათვის ბირმის კავშირის დამოუკიდებლობის მეათე წლისთავის გამო.

გარწმუნებთ, რომ ბირმის კავშირის ხალხი და პირადად მე გამსჭვალული ვართ მისწრაფებით კვლავაც განვახორციელოთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა და განვამტკიცოთ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს, და ამით ხელი შევუწყოთ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხებს შორის ურთიერთგაგების შემდგომ განმტკიცებას.

მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირის ხალხებს.

დრმა პატივისცემით თქვენდამი პირადად და თქვენი თანამებრძოლებისადმი.

უ ნუ,
ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი.

დეპეშა

მის აღმატებულებას
გატონ ნ. ბულგანინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
მოსკოვი.

ბირმის კავშირის მთავრობისა და ხალხის სახელით და პირადად ჩემი სახელით ნება მიბოძეთ სულითა და გულით მოგახსენოთ მადლობა თქვენი მეტად გულთბილი წერილისათვის, რომელიც შეიცავდა მოლოცვასა და კეთილ სურვილებს ბირმის კავშირის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-10 წლისთავის გამო.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ბირმის კავშირის ხალხი და პირადად მე ყოველივეს გავაკეთებთ, რაც ძალგვიძს, რათა განვახორციელოთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე დამყარებული მეგობრული ურთიერთობა და, ამრიგად, ხელს შევუწყოთ საყოველთაო მშვიდობისა და ყველა ქვეყანას შორის თანხმობის განმტკიცებას.

დაე მშვიდობით ცხოვრობდნენ და პყვაოდნენ სსრ კავშირის ხალხები!

გთვლით უაღრესად გულითად პირად სალამს თქვენ და თქვენს კოლეგებს

უ ნუ,
ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ჯ. ს. ციმაკურიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა ადამიანები უდიდესი კმაყოფილებით და კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IX სესიის გადაწყვეტილებებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტებში საკანონმდებლო აღიარება ჰპოვა დიდმა სახელმწიფო დავალებებმა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლას იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის გზით, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სესიის განსახილველად შემოაქვს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც შედგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესაბამისად.

1957 წლის გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები

ამხანაგო დეპუტატებო!

სანამ სახალხო მეურნეობის 1958 წლის გეგმის ძირითად დავალებათა დახასიათებაზე გადავიდოდეთ, ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება შევჩერო 1957 წლის გეგმის შესრულების წინასწარი შედეგების მოკლე მიმოხილვაზე.

გავლილი 1957 წელი იყო ღირსშესანიშნავი წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის წელი, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა წელი, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევების წელი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცებისა და ზრდის წელი.

როგორც ცნობილია, გასულ წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებით განხორციელდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია.

ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ თავისი არსებობის მოკლე პერიოდში შეძლო განეხორციელებინა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საწარმოებში არსებულ სიმძლავრეთა სპეციალიზაციისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

მრეწველობის მართვის ტერიტორიული პრინციპის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მანქანათმშენებელი საწარმოების მუშაობა. ამ ქარხნებმა მთელი რიგი რთული მანქანების დამზადება აითვისეს. მაგალითად, თბილისის ლოკომოტივსარემონტო ქარხნის ბაზაზე რესპუბლიკის ინიციატივით შეიქმნა ელექტრომავალმშენებელი ქარხანა.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ აითვისა ახალი, „163“ მოდელის ლითონსაჭრელი ჩქაროსნული ჩარხი, ხოლო ქარხანა „ჩარხმა“ — გადიდებული სიზუსტის სახეხი დაზგის გამოშვება.

რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1957 წლის გეგმა 103,7 პროცენტით შეასრულა, ვადაზე ადრე დაამთავრა საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულმა პროდუქციამ ნახევარ მილიარდამდე მანეთს მიაღწია.

მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის, საშენ მასალათა, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის წარმოების გეგმები.

საგრძნობლად გადაჭარბებულია 1957 წლის დავალებანი ქვანახშირის მოპოვების, სახარატო ჩარხების გამოშვების, ავტომანქანების, ცემენტის, მუყაოს, ქაღალდის, აბრეშუმის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, შაქრის, კონსერვების, ნატურალური ჩაის, ღვინის წარმოების საქმეში.

გასულ წელთან შედარებით გაიზარდა თუჯის გამოშვება 4,9 პროცენტით, ფოლადისა — 17, ელექტროენერგიის გამომუშავება — 7 პროცენტით, მინერალური სასუქების წარმოება გადიდდა 2-ჯერ, აგურის გამოშვება —11,6 პროცენტით, ცემენტისა — 52,1, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა — 72 პროცენტით და უფრო მეტად, ვიდრე 1956 წელს.

წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, რეზერვების უფრო სრულად გამოყენების შედეგად მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 102,6 პროცენტით. მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახალხო მეურნეობაში 1957 წელს შესრულდა 97,3 პროცენტით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 99,6 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ 1957 წელს რესპუბლიკაში ამინდის არახელსაყრელი პირობები შეიქმნა სოფლის მეურნეობისათვის, მარცვლეული კულტურების მოსავალი მნიშვნელოვნად მეტი იყო, ვიდრე 1956 წელს, მათ შორის სიმინდისა — 20 პროცენტით. რესპუბლიკაში შარშანდელზე მეტი დამზადდა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ყურძენი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, მატყლის, ციტრუსოვანთა და ხილის დამზადების გეგმები.

პარტიამ და მთავრობამ 1957 წელს განახორციელეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. 1957 წლის იანვრიდან გადიდდა მცირეხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი. გაუქმდა იმ მუშების, მოსამსახურეებისა და მოსწავლეებისათვის გადასახადების გადახდევინება, რომლებიც ხელფასს ან სტიპენდიას იღებენ 370 მანეთამდე თვეში.

სახელმწიფო პენსიების ახალი კანონის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა პენსიით უზრუნველყოფის ოდენობა, გადიდდა სახელმწიფო ხარჯები მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა კატეგორიების მშრომელთა პენსიების გასაცემად.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1957 წელს რესპუბლიკაში 578 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდა. მოსახლეობას მიეყიდა მეტი, ვიდრე 1956 წელს: ხორცი — 1.850 ტონა, კარაქი — 2.000 ტონა, შაქარი — 2.900 ტონა, შალისა და ბამბის ქსოვილები — 20 მილიონი მანეთისა, ფეხსაცმელი — 103 მილიონი მანეთისა, შეკერილი ტანსაცმელი — 130 მილიონი მანეთისა, ავეჯი — 38 მილიონი მანეთისა და სხვ.

ამასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის კულტურული და მატერიალური მოთხოვნილებანი, განსაკუთრებით სოფლად. 1957 წელს სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით გაყიდულია 1.743 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა, 22.500 რადიომიმღები, 19 მილიონი მანეთის წიგნები, 15.300 ცალი საკერავი მანქანა, 1.749 ტელევიზორი და სხვ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მშრომელთათვის ბინების მშენებლობის გაფართოების საკითხს. პარტიამ დასახა ამოცანა უახლოეს 10-12 წელიწადში ძირითადად უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა მოთხოვნილებანი საცხოვრებელი ბინებით. ახლა გაჩაღებულია დიდი მუშაობა პროგრამის შესასრულებლად. გასულ წელს სახელმწიფო საბინაო ფონდს შეემატა დაახლოებით 173 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების საქმეში. გასული წლის დამლევს საქართველოს დედაქალაქ თბილისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რაც აუცილებლად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ხელს შეუწყობს მეცნიერების ახალი მიღწევების დანერგვას ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში, ეს კი გამოიწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ზრდას.

გასული წელი აღინიშნა რესპუბლიკის ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა დიდი შემოქმედებითი აქტივობით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი დავალებანი

ამხანაგო დეპუტატებო!

თავისი შინაარსით, ამოცანებითა და შედგენის მეთოდებით 1958 წლის გეგმა ბევრად განსხვავდება 1957 წლის გეგმისაგან.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა ისიც, რომ იგი დამუშავებულ იქნა საწარმოებში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა უფრო სრულად, ვიდრე წინა წლებში, გაგვითვალისწინებინა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა შინაგანი რეზერვები და რესურსები, მოწინავე საწარმოო გამოცდილება და წინადადებანი ადგილებიდან.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმის შემუშავების შესახებ. შესაბამისი დადგენილება მიღებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ გასული წლის დეკემბერში.

საჭიროა, რომ აღნიშნული 7-წლიანი გეგმის შემუშავებას მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება. როგორც პირველი რიგის ღონისძიება, შვიდწლიან გეგმაში უნდა აისახოს ელექტროენერგეტიკის ზრდა ისეთი ტემპით, რომ ის წინ უსწრებდეს და არ ზღუდავდეს მრეწველობის ყველა სხვა დარგის განვითარებას.

პერსპექტიულ გეგმაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქიმიური მრეწველობის განვითარებას, რათა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა მოვამარაგოთ ხელოვნური ბოჭკოთი, ხელოვნური მატყლით და სხვა ნედლეულით.

პერსპექტიულ გეგმაში ფართო განვითარება უნდა ჰპოვოს სამთამადნო მრეწველობის განვითარებამ, როგორიც არის: ქვანახშირის ამოღება, ბარიტის წარმოება, სპილენძისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვება.

პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდა და ამ საფუძველზე ფართო მოხმარების საქონელთან დაკავშირებული წარმოების დარგების განვითარება.

იმ მიზნით, რომ ლიკვიდირებულ იქნას ელექტროენერგეტიკის დეფიციტი, რაც ჩვენს რესპუბლიკაშია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წელს დაიწყოს მშენებლობა და მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში გადაეცეს საექსპლოატაციოდ ელექტროგადამცემი ხაზი მინგეჩაურიდან თბილისამდე. ეს საშუალებას მოგვცემს მოძმე აზერბაიჯანის ენერგოსისტემიდან მივიღოთ ელექტროენერგია, რაც უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში საგრძნობლად შეამცირებს რესპუბლიკის საწარმოების დეფიციტს და გააუმჯობესებს მოსახლეობის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია დაიწყოს ყარადალო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა, რომლის დამთავრება ნავარაუდევია 1959 წლის მეოთხე კვარტალში.

ქ. თბილისისა და რუსთავის ყველა საწარმო გადაყვანილ იქნება გაზზე, ამავე დროს ამ ორი ქალაქის მოსახლეობის ყველა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება დაკმაყოფილდება გაზით.

საჭიროა თბილისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა 1958 და 1959 წლების განმავლობაში განახორციელონ დიდი სამშენებლო სამუშაოები გაზის განმანაწილებელი ქსელის მშენებლობაზე იმ ვარაუდით, რომ ძირითადად ამ ქსელის მშენებლობა დამთავრდეს 1959 წლის მეოთხე კვარტალამდე.

მრეწველობა

1958 წლის გეგმის ძირითადი დავალებანი მოცემულია იმ მასალებში, რომლებიც დეპუტატებს დაურიგდათ. ამიტომ ნება მიბოძეთ შევჩერდე ამ გეგმის მხოლოდ მთავარ მიმართულებებზე.

წარმოდგენილი გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების შემდგომ განვითარებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ზრდა 7,1 პროცენტით 1957 წელთან შედარებით.

პარტია და მთავრობა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევენ შავი მეტალურგიის განვითარებას. განსაკუთრებით სერიოზული ამოცანებია დასახული ჩვენს რესპუბლიკაში მარგანეცის მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმეში. 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია მარგანეცის სასაქონლო მადნის წარმოების გადიდება 15,1 პროცენტით გასული წლის დონესთან შედარებით.

მარგანეცის მადნის მოპოვების გადიდება მიღწეულ უნდა იქნას ახალი ითხვისის საექსპლოატაციოდ გადაცემული მაღაროსა და გამაუხვებელი ფაბრიკის ხარჯზე.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში თუჯის გამოდნობა 1958 წლისათვის გათვალისწინებულია 4,6 პროცენტით მეტი, ფოლადისა — 27,1 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. ფოლადის გამოდნობის გადიდება მოხდება ამუშავებული მეშვიდე და მერვე მარტენის ღუმელების, მეხუთე და მეექვსე ღუმელების რეკონსტრუქციისა და დანარჩენი ღუმელების მუშაობის სწორი და სრული დატვირთვის ხარჯზე.

1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია 3.088 ათასი ტონა ქვანახშირის ამოღება, რაც გასულ წელთან შედარებით შეადგენს ზრდას 4,2 პროცენტით.

1958 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 200 ათასი ტონა ქვანახშირის წლიური სიმძლავრის შახტი № 4/5 ახალციხეში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირის ამოღება საგრძნობლად იზრდება, ის ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის მრეწველობისა და მეურნეობის დანარჩენი დარგების გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ 1,4 მილიონამდე ტონა ქვანახშირი ყოველწლიურად უკრაინიდან შემოვზიდოთ, რაც რესპუბლიკის საერთო მოთხოვნილების 39 პროცენტს შეადგენს.

ამიტომ საჭიროა ქვანახშირის მრეწველობაში სრულად იქნას გამოვლინებული და გამოყენებული მთელი რეზერვები.

ელექტროენერგიის წარმოების მატება 1957 წელთან შედარებით გათვალისწინებულია 20 პროცენტით. ეს ზრდა ძირითადად მოხდება ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის, გუმათისა და შაორის ჰიდროელექტროსადგურების ახალ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემით.

მიმდინარე წელს დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის შემდგომ განვითარებას. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულია მანქანათმშენებლობის მრეწველობის ზრდა 16,3 პროცენტით გასულ წელთან შედარებით.

დიდი ამოცანები ეკისრებათ მიმდინარე წელს ჩარხმშენებლებს. ისინი შეუდგებიან ახალი ტიპის სახარატო ჩარხის წარმოებას, რომლის გამოშვება შეადგენს 1.900 ცალს, ანუ 4,7-ჯერ მეტს, ვიდრე 1957 წელს. დაგეგმილია აგრეთვე სპეციალური და სხვა სახის ჩარხების გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდა.

გასულ წელთან შედარებით იზრდება ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სათადარიგო ნაწილების წარმოება კვების მრეწველობისათვის, დიდდება ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო მანქანების გამოშვება.

პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ ქიმიური მრეწველობის სწრაფ ზრდას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. გეგმით გათვალისწინებულია ამ დარგში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდება 1958 წელს 33,6 პროცენტით 1957 წელთან შედარებით. მინერალური სასუქების წარმოების გადიდება დაგეგმილია 15,4 პროცენტით.

დიდი ამოცანები დგას 1958 წელს ჩვენი მრეწველობის წინაშე ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდის მხრივ.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რესურსების შესაბამისად, 1958 წელს გამომუშავებულ უნდა იქნას 30,5 ათასი ტონა ბაიხაო ჩაი ნაცვლად 1957 წლის 26,74 ათასი ტონისა.

ყურძნის ღვინის წარმოება დაგეგმილია 5,3 მილიონი დეკალიტრის ოდენობით, ანუ 13,8 პროცენტით მეტი, პაპიროსის და სიგარეტისა — 4 პროცენტით.

სოფლის მეურნეობა

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ზრდას. მიმდინარე წელს უნდა გადიდდეს კოლმეურნეობებში მარცვლეული, ტექნიკური, ბოსტნეული, საკვები კულტურების წარმოება. ამასთან იზრდება ხორცის, ერბოკარაქისა და რძის წარმოებაც.

მიმდინარე წელს საგრძნობლად გაიზრდება ყველა სახეობის სამეურნეო პროდუქციის წარმოება. ეს საშუალებას გვაძლევს გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოცულობა 1957 წელთან შედარებით: ჩაისა — 17 ათასი ტონით, ყურძნისა — 30 ათასი ტონით, ბოსტნეულისა — 20 ათასი ტონით, კარტოფილისა — 5 ათასი ტონით და სხვ.

მიმდინარე წლის გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მევენახეობის, მებაღეობისა და ჩაის კულტურის განვითარებას. როგორც ცნობილია, ამ კულტურების განვითარებას დიდი საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

გასული წლის დამლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწვიეს რესპუბლიკური თათბირები და სოფლის მეურნეობის, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან ერთად განიხილეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მევენახეობისა და ჩაის წარმოების შემდგომი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. თათბირებზე დასახულ იქნა ღონისძიებანი, რომელთა შესრულება ყველა ჩვენგანის საბრძოლო ამოცანაა.

ჩაის კულტურა ქართველი ხალხის სიამაყეა. საქართველო იძლევა საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის მთელი პროდუქციის 97 პროცენტს. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახეს დიდად სასატანი და პასუხსაგები ამოცანა — უახლოეს 10 წელიწადში უზრუნველყოს მეჩაიეობის ისეთი განვითარება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ სსრ კავშირის მოსახლეობის მთელი მოთხოვნილება ჩვენი წარმოების ჩაით.

ეს უაღრესად დიდი და საპატიო დავალებაა. ამის შესრულებისათვის საჭიროა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მშრომელების უნარიანად დარაზმვა, ადგილობრივი რეზერვების მთლიანად გამოყენება და არსებული ნარგავების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდება.

წელს დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — მევენახეობის განვითარების საქმეში.

თქვენთვის ცნობილია, რომ მეექვსე ხუთწლედში საქართველოს ვენახების ფართობი უნდა გადიდდეს 80 ათას ჰექტარამდე, 1965 წელს კი 120 ათას ჰექტარამდე.

ჩვენმა სახელოვანმა მევენახეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ წარმატებით შასრულონ გეგმით გათვალისწინებული დავალებანი.

საჭიროა გავამახვილოთ ყურადღება ციტრუსოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების მოვლა-დამუშავებისა და პროდუქციის ზრდის საქმისადმი.

1958 წელს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გადიდებას და რძისა და ხორცის წარმოების შემდგომ ზრდას. უნდა გვახსოვდეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შემდეგი მითითება:

„პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდა უნდა ხდებოდეს უმთავრესად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რადგან მუშობის პრაქტიკამ მთელი დამაჯერებლობით ცხადყო მსხვილი მეურნეობის წარმოების უპირატესობა მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის წარმოების სწრაფი გადიდების საქმეში“.

თქვენ კარგად იცით, რომ საკვების წარმოებისა და დაგროვების დონეზე დიდად არის დამოკიდებული მეცხოველეობის მდგომარეობა. სწორედ ამიტომ საჭიროა საკვები ბაზის განმტკიცება და განვითარება. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეგასრულოთ მეცხოველეობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები.

როგორც ვიცით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა დაკავშირებულია რწყვასთან, წყლის რესურსების სწორად გამოყენებასთან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მიწების რწყვა განვითარებული არ იყო და ამიტომ ნაყოფიერი მიწების დიდი ნაწილი მოურწყავი რჩებოდა. ჯერ კიდევ 1921 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“. და სწორედ ვ. ი. ლენინის ამ მითითების საფუძველზე საბჭოთა საქართველოში დაიწყო დიდი საინჟინრო სარწყავი სისტემების მშენებლობა. ამჟამად რესპუბლიკაში ირწყვება 320 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა. წყალთა მეურნეობის მუშაკების წინაშე დასახულია დიდად პასუხსაგები ამოცანები— უახლოეს წლებში უნდა დამთავრდეს სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა 80 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწების მოსარწყავად.

1958 წელს უნდა დამთავრდეს აგრეთვე ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

მიმდინარე წელს წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია სარწყავი ფართობების ზრდა 9 ათასი ჰექტარით.

1958 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაძლიერება.

კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში მიმდინარე წელს განსაზღვრულია 270,7 მილიონი მანეთის მოცულობით, ანუ 23 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წელს. აქედან 100 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად. 1958 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამი ათასი კვტ სიმძლავრის სახელმწიფო სასოფლო ჰიდროსადგურები. მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია 119 კოლმეურნეობის ელექტროფიკაცია.

კაპიტალური მშენებლობის საკითხები

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1.811 მილიონი მანეთის რაოდენობით, ანუ 214 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს. ამ საერთო თანხიდან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის განკუთვნილია 1.239 მილიონი მანეთი.

კაპიტალური დაბანდებანი იმ სახსრების ჩათვლით, რომლებიც გამოიყოფა ეგრეთწოდებული არაცენტრალიზებული წყაროებით (მოგების ანარიცხები, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრები, საწარმოს ფონდი, ჭარბი მოგება და სხვ.), კიდევ იზრდება დაახლოებით 300 მილიონ მანეთამდე და, ამრიგად, კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობა რესპუბლიკაში აღწევს 2.100 მილიონ მანეთამდე.

თუ როგორ არის განაწილებული სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი უწყებებსა და სამინისტროებს შორის, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის, ეს მასალები დარიგებული აქვთ დეპუტატებს და საჭირო არ არის გავიმეოროთ.

კაპიტალურ დაბანდებებში დიდი ხვედრითი წონა აქვთ სახალხო მეურნეობის საბჭოში გაერთიანებულ საწარმოებს. სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით სახელმწიფო კაპიტალური დანახარჯების საერთო თანხა მიმდინარე წელს ნავარაუდევია 1.130 მილიონი მანეთის ოდენობით. აღნიშნული თანხები დაბანდებულ იქნება ელექტროენერგეტიკის, შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის მაღალი ტემპებით განვითარებისათვის.

ელექტროსადგურების მშენებლობაზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 296 მილიონი მანეთი, შავი მეტალურგიის ხაზით — 270 მილიონი მანეთი, ქვანახშირის მრეწველობაში — 172 მილიონი მანეთი და ქიმიურ მრეწველობაში — 56 მილიონი მანეთი.

„სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის ცნობილი დადგენილების შესრულების მიზნით 1958 წლის სახალხო მეურნეობის გეგმაში უდიდესი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას. ამ მიმართულებით გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი 326 მილიონი მანეთი, ანუ 48 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 236 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 60 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ამას გარდა, ამ მიზნით მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯება საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მათ განკარგულებაში არსებული რესურსების ხარჯზე. 100 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაზე.

ბინათმშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულებაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს არქიტექტორებსა და საპროექტო ორგანიზაციებს. მათ უნდა შექმნან ისეთი პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებს საბინაო მშენებლობის ღირებულებას და აამაღლებს მის საექსპლოატაციო ხარისხს. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უფრო სრულყოფილი კონსტრუქციების შერჩევას და ეფექტიანი მასალების გამოყენებას.

მშენებლობის ღირებულების გასაიაფებლად უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი ზედმეტობა, ფართოდ დავნერგოთ მშენებლობის მოწინავე ინდუსტრიული მეთოდები; უზრუნველყოთ არა მარტო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმით დაწესებული დავალების უცილობლივ შესრულება, არამედ კიდევაც გამოვნახოთ დამატებითი რეზერვები ამ დავალების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მშენებლობის გეგმის ზრდასთან ერთად 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია საშენ მასალათა მნიშვნელოვანი გადიდება. საკედლე მასალების წარმოება გეგმით გათვალისწინებულია 403,6 მილიონი ცალი პირობითი აგურის რაოდენობით, რაც 66,8 მილიონით მეტია გასულ წელთან შედარებით.

მიმდინარე წელს გამოშვებული იქნება 150,0 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, ანუ 88,5 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. გათვალისწინებულია აგრეთვე სამასალე მრეწველობის დამზადება 797 ათასი კუბური მეტრის რაოდენობით,

(დასასრული მე 3 გვერდზე)

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. პ. ს. ციმაკურიძის მოხსენება

(დასასრული)

რაც 4,3 პროცენტით მეტია, ვიდრე გასულ წელს. კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულება ძირითადად დამოკიდებულია საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებაზე. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საშენი მასალების მრეწველობის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მშენებლობის ტემპებს და ამის გამო სისტემატურად იგრძნობა აგურის, კრამიტის, რკინაბეტონის ნაკეთობების, ინერტული მასალების, მოსაპირკეთებელი ქვების, პარკეტისა და სადურგლო ნაწარმის ნაკლებობა. ამის ძირითადი მიზეზია მრეწველობის ამ დარგის არასწორი დაგეგმვა, გამოყოფილი თანხების არაეფექტური გამოყენება. ძალიან ჭიანურდება ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.

საშენი მასალების მრეწველობის განვითარებისათვის გამიზნული სახსრები წარსულ წლებში ძირითადად არსებული ქარხნების რეკონსტრუქციაზე და გადაკეთებაზე იხარჯებოდა. ამასთან, ხშირად ეს გადაკეთებ-გადმოკეთება უმიზნოდ ტარდებოდა. მაგალითად, ნოსირის აგურის ქარხანაში, სადაც 1946 წლიდან 6,5 მილიონ მანეთზე მეტია დახარჯული, მუშაობა დღემდე მოუწესრიგებელია; ამ ქარხნის დანადგარების დიდი ნაწილი უმოქმედოდ არის გაჩერებული, შიგასაწარმოო წუნი დიდია, პროდუქციის ხარისხი დაბალია, ხოლო მისი თვითღირებულება — მაღალი.

საკედლე და სახურავი მასალების ახალი ქარხნების მშენებლობა დაუშვებლად ჭიანურდება: მეტეხის აგურის ქარხნის მშენებლობა 8 წელს გაგრძელდა, აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის მშენებლობა კი 1953 წელს დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა.

საკედლე და სახურავი მასალების ნაკლებობა იმდენად ქარხნების სმეცირით არ არის გამოწვეული, რამდენადაც ამ ქარხნების არაეფექტური მუშაობის შედეგია. ადგილობრივი, რაიონული მრეწველობის აგურ-კრამიტის ქარხნების მიერ საშუალოდ წლიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ღუმელების სიმძლავრის ნახევარს არ აღწევს. სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებულ ქარხნებში დღემდე სრულყოფილად არ არის დანერგილი აგურის წარმოების თანამედროვე მოწინავე მეთოდები. წრიული ღუმელების გამოსაწვავი არხის ერთი კუბური მეტრიდან თვიურად აღებული აგურის რაოდენობა 900-1.000 ცალს არ აღემატება, მაშინ როცა ცალკეულმა მოწინავე ქარხნებმა უკვე 2.500-3.000 ცალის ამოღებას მიაღწიეს.

1958 წელს განზრახულია აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის იქსპლოატაციის დაწყება. ამ ქარხნის წლიური წარმადობა 60 მილიონ ცალ აგურს უდრის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კაპიტალური მშენებლობის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. როგორც ცნობილია, საკავშირო მთავრობის დადგენილებით გაფართოებულია რესპუბლიკური ორგანოების უფლებები კაპიტალური დაბანდების დაგეგმვისა და სატატისტიკო სიაში შესატანი ობიექტების განსაზღვრის საქმეში. მიუხედავად პარტიის და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების მრავალი მითითებისა, რომ კაპიტალური დაბანდებანი პირველ რიგში მიმართულ იქნას სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან გარდამავალ მშენებლობაზე, რომ დაჩქარებით უზრუნველყოფილ იქნას მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა, ადგილი აქვს კაპიტალური დაბანდების სახსრების დაქუცმაცებას. ამის გამო ობიექტების მშენებლობა წლობით ჭიანურდება და სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა სახსრების გამოყენება არაეფექტურად ხდება.

მაგალითად, გასულ წელს ქალაქ სოხუმში საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გამოყოფილი იყო 2,9 მილიონი მანეთი, აქედან ერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო გასულ წელს. მაგრამ ამ თანხით ნაცვლად ორისა, დაიწყეს 4 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, და არც ერთი მათგანი არ დამთავრებულა.

სახსრების დაქსაქსვის კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. კაპიტალური დაბანდების ასეთი არასწორი დაქუცმაცების შედეგად ყოველწლიურად იზრდება რესპუბლიკაში დაუმთავრებელ ობიექტთა რიცხვი. ეს კი იწვევს სახელმწიფო სახსრების არასწორად დაბანდებას.

სხვა სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა. მშენებლობის საქმეში ადგილი აქვს შრომის არასწორ ორგანიზაციას, საშენი მასალების არასწორად გამოყენებას და არაკონკრეტულ ხელმძღვანელობას. ყოველივე ამის შედეგად არ სრულდება მშენებლობის დამთავრების ვადები, რაც გადახარჯვებსაც იწვევს.

საჭიროა, რომ მშენებლობის სამინისტრომ, სახალხო მეურნეობის საბჭომ და სამშენებლო ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელმა საგრძნობლად გაუმჯობესონ მუშაობა და მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიონ მშენებლობის საქმეს.

შრომა და კადრები

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა საშუალოდ 4,6 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე ნავარაუდევია მივიღოთ სამრეწველო პროდუქციის მთელი ნამატის 65,0 პროცენტი. შრომის ნაყოფიერების ზრდა მშენებლობაში იქნება 7,0 პროცენტი.

იმისათვის, რომ შემდგომ წლებში შრომის ნაყოფიერება სწრაფად გაიზარდოს, მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვას.

ამასთან დაკავშირებით თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო იმას, რომ სამრეწველო საწარმოს, კოლმეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და საბჭოთა მეურნეობის საქმიანობის შეფასებისას საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ დიდდება შრომის ნაყოფიერება, როგორ მცირდება შრომის დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე, როგორ მცირდება პროდუქციის თვითღირებულება და უმჯობესდება მისი ხარისხი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საწარმოში და მშენებლობაზე ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

წელს შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება საშუალოდ უნდა შემცირდეს 1,3 პროცენტით 1957 წელთან შედარებით. მთლიანი დანახარჯები კი გამოსაშვები სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე უნდა შეადგენდეს საშუალოდ 94,6 კაპიკს. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება ნავარაუდევია 4,5 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება საბჭოთა მეურნეობებში დაგეგმილია 3,1 პროცენტით, სატრაქტორო და მექანიზებულ სამუშაოებში — 16,3 პროცენტით 1957 წელთან შედარებით.

წარმოების ხარჯების შემცირებით მიღებული საერთო ეკონომია მარტო სახელმწიფო მრეწველობის შესადარი სასაქონლო პროდუქციის მიხედვით დაახლოებით 150 მილიონ მანეთს უდრის.

თავისთავად ცხადია, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სახელმწიფო დავალება იმ შემთხვევაში შეიძლება შესრულდეს, თუ ჩვენ მაქსიმალურ ყურადღებას დავუთმობთ ნედლეული მასალის, სათბობის, ელექტროენერგიისა და სახსრების მომჭირნეობას.

მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების საკითხები

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის არ არის იმაზე უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდამ შექმნა ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების რეალური შესაძლებლობანი. ახლა ყველა გრძნობს ამ ღონისძიებათა რეალურ შედეგებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელი წლების განმავლობაში განახორციელეს.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდების, სახალხო მეურნეობაში ხელფასის საერთო ფონდის ზრდის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების აღმავლობის შედეგად საგრძნობლად მატულობს სახალხო მემოსავალი.

მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება კი იწვევს საქონელბრუნვის ზრდას. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა მიმდინარე წლისათვის იგეგმება 9.950 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ შარშანდელთან შედარებით 1.050 მილიონი მანეთით იზრდება.

1958 წელს მოსახლეობა უფრო უკეთ დაკმაყოფილდება მაღალხარისხოვანი სასურსათო და სამრეწველო საქონლით. გათვალისწინებულია გასულ წელთან შედარებით მეტი მიეყიდოს მოსახლეობას: ტყავის ფეხსაცმელი — 24 მილიონი მანეთის, შეკერილი ტანსაცმელი — 23 მილიონი მანეთის, შალისა და ბამბეულის ქსოვილები — 18 მილიონი მანეთის, ტრიკოტაჟის ნაწარმი — 17 მილიონი მანეთის და სხვ. ხორცი გაიყიდება მეტი, ვიდრე გასულ წელს, 2.500 ტონა, შაქარი — 5.000 ტონა. მეტი რაოდენობით გაიყიდება ხარისხოვანი ფქვილი, თევზეული, რძის ნაწარმი და სხვა სასურსათო საქონელი.

პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივების თანახმად, წელს გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის შემდგომი განვითარება. ამ სკოლების რაოდენობა მიმდინარე წელს მიაღწევს 4.211-ს. რესპუბლიკის დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში ისწავლის 630,2 ათასი მოსწავლე.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. აგრეთვე მოზრდილთა სკოლებში ისწავლის 28.361 კაცი.

1958 წელს სკოლა-ინტერნატების რიცხვი გაიზრდება 12-მდე და იქ 3.030 მოსწავლე იქნება.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან 1958 წელს გამომცემული იქნება 10.043 სპეციალისტი. მიმდინარე წელს ნავარაუდევია რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 5.399 კაცის მიღება.

გეგმით დასახულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი ზრდა. გადიდდება ყველა ტიპის მასობრივი ბიბლიოთეკების და საკლუბო დაწესებულებების რიცხვი.

მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით განზრახულია მოეწყოს 5 ახალი კულტურისა და დასვენების პარკი (თბილისში, ზესტაფონის, ვანის, წალენჯიხის და ლანჩხუთის რაიონებში).

ნავარაუდევია მოეწყოს 4 ახალი მუზეუმი, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის მუზეუმი გორის რაიონში, ვ. ტერიანის მუზეუმი ბოგდანოვკაში და ორი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ჩოხატაურისა და საგარეჯოს რაიონებში.

გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარებისათვის.

• • •

ამხანაგო დეპუტატებო!

განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმით, მთელი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად, გათვალისწინებულია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით 1957 წელთან შედარებით იზრდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 6,1 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში 6,2 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 10,4 პროცენტით.

იზრდება აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 30 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში 51,4 პროცენტით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 34,1 პროცენტით.

ხაქართველოს სს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმა მთლიანად გამომდინარეობს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანებიდან.

წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ კანონის ძალას მიიღებს. ჩვენი ამოცანა იქნება ბრძოლა ამ გეგმის განხორციელებისათვის მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, როგორც აღინიშნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე, რომ თვითეული რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის წარმატებითი განვითარება შეუძლებელია მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფი ზრდის გარეშე, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ერთიან განუყოფელ კომპლექსს წარმოადგენს. ეს იმას გვავალებს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობისას რესპუბლიკური ორგანოები პირველ რიგში აყენებდნენ საერთო საკავშირო მნიშვნელობის საკითხებს. გარდა ამისა, საჭიროა სამეურნეო კავშირის გაფართოება რესპუბლიკებს შორის და იმ დავალებათა დროული და ზუსტი შესრულების უზრუნველყოფა, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო სახელმწიფო გეგმიდან.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციასთან და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზარდა საგეგმო ორგანოების პასუხისმგებლობა.

საგეგმო ორგანოები მუშაობის ახალ პირობებში ვალდებულნი არიან უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ არა მარტო მეურნეობის ცალკე დარგებს, არამედ თვითეულ საწარმოს, გაიცნონ და ღრმად შეისწავლონ მისი წარმოების პროცესი და ეკონომიკა. გამოავლინონ გამოუყენებელი რეზერვები და დასახონ ღონისძიებანი მათი სრულად გამოყენებისათვის; საგეგმო ორგანოების მუშაკებმა წარმოებაში უნდა დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები და გამონახონ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ახალი გზები.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად გაიშალა დიდი მუშაობა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები, დიდი პატრიოტული გრძნობით ებმებიან ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა დიდი საწარმოო მიღწევებით შეხვდნენ არჩევნების დღეს.

• • •

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ათავრობის დიდი ძალუნველობის შედეგად საბჭოთა მეცნიერებაა და ტექნიკამ უდიდეს გახვითაოებას იიაღწია. ამას ოწმობს მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგურის აგება საბჭოთა კავშირში, ატომეური ყინულმჭრელის „ლენინის“ ჩამგება ნყალში, ოეაქტიული და ტურბინნრახნიანი სამგზავრო გიგახტი თვითმფრინავების სერიული წარმოება, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნა და სხვ.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, და მათმა გაშვებამ გაბოიწვია მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცება, ხოლო კაპიტალისტური სამყაროს რეაქციულ წრეებში — დაბნეულობა.

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმის შესრულებას ეხიჭება დიდი სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობა.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებენ მომდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულ სახელმწიფო დავალებებს, რითაც ახალ დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

თბილისის XXVII საქალაქო პარტიული კონფერენცია

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობა

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრები

აკოფოვი მ. ს.	ვეფხვაძე მ. გ.	მელაძე ა. ე.	ქურდაძე ნ. მ.
აფხაძე გ. ი.	ზედელაშვილი შ. ნ.	მოისწრაფიშვილი კ. ი.	ღვალაძე პ. გ.
ბოგდანოვა პ. ნ.	ზუბრიცკი პ. პ.	მეკავანაძე ვ. პ.	ყუფარაძე შ. ი.
ბუდუმიანი ა. გ.	თავაძე ე. ზ.	მშვიდობაძე გ. ი.	შვანგირაძე ა. გ.
ბუკია ბ. ს.	თაქთაქიშვილი ო. ვ.	მჭედლიძე დ. ს.	ჩარკვიანი ა. ე.
ბუკოვი ა. ი.	იაკოვენკო ლ. ი.	ნემსაძე ო. მ.	ჩიტაიშვილი ა. ფ.
გაფრინდაშვილი მ. მ.	იაშვილი მ. ვ.	ნონეშვილი ი. ე.	ჩუბინიძე მ. დ.
გარდაფხაძე კ. კ.	ივაშჩენკო დ. ა.	ომანიძე შ. ი.	ჩხარტიშვილი ს. კ.
გეგეშიძე გ. ა.	კაჭარავა ვ. ი.	პეტროსიანი ლ. ს.	ცატუროვი ა. ტ.
გელაშვილი დ. ვ.	კიზიკიძე ნ. ს.	პლოტნიკოვი ი. მ.	ციცხვაია პ. მ.
გეტაშვილი ი. მ.	კოვანოვი პ. ვ.	უვანია ნ. ა.	ცოტაძე ნ. მ.
გიორგობიანი ნ. ბ.	კორახაშვილი ა. ი.	რთველიაშვილი ი. გ.	ძრიელიშვილი ა. პ.
გოგლიძე კ. ნ.	კორძაძე ვ. მ.	როდომანჩენკო ნ. ი.	ჭანკოტაძე შ. ლ.
გომარელი ვ. ა.	კოპალიანი დ. ა.	სარაჯიშვილი ი. ი.	ჭანუყვაძე გ. დ.
გოლეთიანი ა. ე.	კრასნოვა ლ. დ.	სირაძე ვ. მ.	ჭახრაკია ნ. ე.
გოშაძე გ. ნ.	კუპრაძე ვ. დ.	ტიტვინიძე შ. მ.	ქუმბურიძე ი. დ.
გურასაშვილი ლ. პ.	ლოლაშვილი ო. ი.	ურუშაძე ი. თ.	ხვედელიანი ი. რ.
დვალი რ. რ.	ლომიძე ბ. კ.	ქავთარაძე ო. ა.	ხორავა ა. ა.
დოლიძე შ. ა.	მათიაშვილი თ. მ.	ქარუმიძე ი. გ.	ხუბულური ვ. დ.
დურმიშიძე ს. ვ.	მარშანია ვ ქ.	ქართველიშვილი გ. მ.	ჯავახიშვილი გ. დ.
ეგაძე თ. ნ.	მაცაბერიძე გ. ე.	ქოჩლაძე შ. ვ.	ჯანჯღავა ვ. ს.
ვაშაკიძე გ. ს.	მახარაძე მ. ი.	ქუთათელაძე თ. კ.	ჯაში ნ. უ.
			ჯაფარიძე ი. მ.

საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატები

ავალიანი მ. დ.	დონაძე ნ. ა.	მეკოკიშვილი ა. ა.	სალუქვაძე ბ. ა.
ანტონოვა ა. ე.	ვარდოსანიძე გ. ვ.	მირიანაშვილი ი. ვ.	სალუქვაძე ე. ა.
ბაქრაძე შ. რ.	თავაძე ფ. ნ.	მიშველიძე ზ. ვ.	სეროვი ვ. ი.
ბერიძე გ. ლ.	თათარაშვილი მ. ა.	მოსაშვილი თ. ი.	ფომინა ა. ხ.
ბურჯანაძე ნ. ი.	თევზაძე ა. ა.	ნინოშვილი ვ. ი.	ღლონტი ე. ვ.
გაფრინდაშვილი გ. გ.	კუხიანიძე ბ. ე.	რამიშვილი ნ. ნ.	ყანჩაველი ა. ა.
გოცირიძე ვ დ.	ლორთქიფანიძე ვ. ნ.	რცხილაძე გ. ვ.	ხუცია მ. მ.
დაშნიეი გ. ვ.			

საარევიზიო კომისიის შემადგენლობა

აბუთიძე დ. გ.	დანელია მ. მ.	მარგალიტაძე დ. ე.	სუხიტაშვილი ვ. ი.
არუთინოვი გ. გ.	თოხაძე ს. ი.	პანიევი ვ. კ.	შენგელია ა. თ.
ბარძიმოვი გ. ნ.	ილურიძე თ. ა.	ყორყოლიანი დ. გ.	ჩომახიძე ვ. ი.
ბიბილეიშვილი ნ. ი.	კურტანიძე ვ. ი.	სოხაძე კ. გ.	ხუროშვილი ვ. ნ.
გონჩაროვი პ. პ.			

პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ტ. ალაჰვერდიევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, თბილისის XXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატებო!

ნება მიბოძეთ ნავთობის ქალაქ ბაქოს — აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტთა და ყველა მშრომელთა სახელით გადმოგცეთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით ყველა კომუნისტს, მთელ მშრომელ თბილისს ძმური, გულის სიღრმიდან ამომავალი, მხურვალე სალამი. (ტაში).

ჩვენ — ბაქოს პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები — მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ მოგვიწვიეთ მონაწილეობა მიგვეღო თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში, კონფერენციისა, რომელიც წარმოადგენს თბილისის სახელოვან პარტიულ ორგანიზაციას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიერთ უძველეს შებრძოლ რაზმს, ბაქოს კომუნისტური ორგანიზაციის ღვიძლ ძმას. (ტაშ).

ამერკავკასიის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოძმე ხალხების მეგობრობა მტკიცე და ურღვევია.

ჩვენმა უფროსმა ძმამ — დიდმა რუსმა ხალხმა, მშობლიურმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გაგვიხსნეს თავისუფალი, სასიხარულო, ბედნიერი ცხოვრების გზა.

ჩვენ, ბაქოელები, არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ აზერბაიჯანში და განსაკუთრებით ბაქოში მარქსიზმის ერთ-ერთი პირველი მთესველი, პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი შემქმნელი იყო ქართველი ხალხის გამოჩენილი შვილი, დიდი მარქსისტ-ლენინელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი (ხანგრძლივი ტაში), ჩვენი კობა, როგორც მაშინ მას ბაქოს მუშები უწოდებდნენ.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმათ, ვინც ჩვენი მამებისა და უფროსი ძმების მხარდამხარ, ღვიძლი ძმებივით, იბრძოდა ერთი მიზნისათვის — ახალი, თავისუფალი ცხოვრების აშენებისათვის. აზერბაიჯანის ყოველ ქალაქსა და სოფელში იცნობენ ამერკავკასიაში კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს ლადო კეცხოველს. იცნობენ ალიოშა ჯაფარიძეს, ერთ-ერთს ბაქოს 26 კომისართაგან, რომელმაც მამაცურად შესწირა სიცოცხლე აზერბაიჯანელი ხალხის განთავისუფლების საქმეს. ჩვენ არ დავივიწყებთ ძვირფას ამხანაგებს სერგეი მირონის-ძე კიროვს, სერგო ორჯონიკიძეს, რომლებიც დაუღალავად შრომობდნენ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის. ამისათვის მადლობელნი ვართ ანასტას ივანეს-ძე მიკოიანისაც. (ტაში). ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ ქართველი კომუნისტები არ ივიწყებენ ნარიმან ნარიმანოვს, დადაშ ბუნიადზადეს, გაზანფარ მუსაბეკოვს და აზერბაიჯანელი ხალხის სხვა შვილებს, რომლებმაც ბევრი ძალა და შრომა მოახმარეს ამიერკავკასიის ფედერაციის მშენებლობასა და განმტკიცებას, ბევრი რამ გაკეთეს საბჭოთა საქართველოს აყვავებისათვის. (ტაში).

ჩვენ ჩამოვედით თქვენთან ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა ძველი და მარად ახალგაზრდა თბილისი თავისი 1500 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება. მშვენიერია საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერია საქმეები მისი მშრომელებისა, რომლებიც საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებითა და მხარდაჭერით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის შემდგომ დადგენილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ახალწლის წინ ჩვენ თქვენთან ერთად გვიხაროდა შესანიშნავი გამარჯვება თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხნის კოლექტივისა, რომელმაც პირველი სამაგისტრალო რვაღერძიანი ელექტრომავალი გამოუშვა.

აზერბაიჯანელებს აქვთ კარგი ანდაზა: მეზობელი მეზობლის საუკეთესო მეგობარი უნდა იყოსო. ჩვენში შეიქმნა ტრადიცია — თქვენ გაგიზიაროთ ყველა ჩვენი ხიხარული და წარმატება, ყველა დროებითი სიძნელე.

ჩვენ, ბაქოელები, თქვენთან თბილისში სტუმრად ჩამოვედით სასიხარულო ცნობებით. ვიცით გაგიხარდებათ ის ამბავი, რომ ნავთობის მრეწველობამ, აგრეთვე აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა 1957 წლის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ასეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

დიდი ამოცანებია დასახული ბაქოელ მენავთობეთა წინაშე მომდინარე წელს, ჩვენს რესპუბლიკაში ამოღებულ უნდა იქმნას მილიონობით ტონა ნავთობი და 4,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი. ყარადაღის გაზის საბადოს აღმოჩენამ, რომელიც უდიდესია საბჭოთა კავშირში, შესაძლებელი გახადა ქალაქების თბილისისა და ერევნის გაზიფიკაციის საკითხის უშუალოდ დაყენება. შორს აღარ არის ის დღე, როცა ბაქოს გაზი თბილისსა და ერევანში მოვა. (ტაში).

ამ ამოცანის შესრულებას ჩვენ შეეძლებთ ჩვენში ჯერ კიდევ არსებული იმ სერიოზული ნაკლოვანებების გულოდგინე დაძლევით, რომლებზეც მიგვითითებდნენ კომუნისტები ბაქოს რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე და XXXIII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ბაქოს კომუნისტები, რომლებიც თავიანთი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ერთგული არიან, ახალ, 1958 წელსაც ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე.

ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ორივე მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქების პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უფრო მტად მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ხალხთა მეგობრობა და ძმობა.

გაუმარჯოს ქართველი ხალხისა და აზერბაიჯანელი ხალხის ურღვევ ძმობას! (მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ო. გაღდასარიანის სიტყვა

ქალაქ ერევნის პარტიულმა ორგანიზაციამ, საბჭოთა სომხეთის დედაქალაქის ყველა კომუნისტმა დაგვავალა გადმოგცეთ თბილისის XXVII პარტიული კონფერენციის დელეგატებს და მოძმე საქართველოს დედაქალაქის ყველა კომუნისტს მხურვალე, მგზნებარე, ბოლშევიკური სალამი. (ტაში).

თბილისის პარტიულ ორგანიზაციას სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვს. მან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბევრი გამოჩენილი მოღვაწე მოგვცა. აქ, ამ პარტიულ ორგანიზაციაში მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა გამოჩენილმა მარქსისტ-ლენინელმა ა. ბ. სტალინმა (ხანგრძლივი ტაში), რომლის სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებულია სახელები კომუნიზმის საქმისათვის ისეთი მგზნებარე მებრძოლებისა, როგორიც იყვნენ ლადო კეცხოველი, მეშადი აზიზბეკოვი, სტეფანე შაუმიანი, სურენ სპანდარიანი, ალიოშა ჯაფარიძე და სხვები. (ტაში).

ამხანაგებო! ჩვენ დიდი უურადღებით მოვისმინეთ პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გეგეშიძის მოხსენება. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ, ახორციელებენ რა ჩვენი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ მითითებებს, თბილისის ბოლშევიკებმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

თქვენი წარმატებები დიდად გვახარებს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ჩვენ მეგობრები ვართ, და ერთმანეთის წარმატებები გვახარებს.

ცოტა წარმატებები როდი აქვს ერევნის პარტიულ ორგანიზაციასაც.

ქალაქ ერევნის ბევრი საწარმო შეჯიბრებაშია ჩაბმული ქალაქ თბილისის საწარმოებთან. ეს, ამხანაგებო, ნამდვილი მეგობრების შეჯიბრებაა. ერთმანეთს წარმატებანი თანაბრად ახარებენ მეორეებს და ერთის წარუმატებლობანი გვაღელვებს ყველას.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ხალხთა ბედი ჭეშიდროდ არის გადანასკვული. საუკუნეობით ერთად ვიყოფდით ჰურმარილს, საუკუნეობით ერთად ვიბრძოდით ეცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ერთმანეთს ვუჭიარებდით მწუხარებასა და სიხარულს. საუკუნეობით, ცხოვრობდა რა ერთ სოფელში სომეხთან ერთად, ქართველი მასთან შეხვედრისას დღალაღამის სიყვარულით მიესალმებოდა — „გამარჯობა, ძმაო“, ხოლო სომეხი, ქართველს რომ ხვდებოდა, ასეთივე სიყვარულით უპასუხებდა: „მარევ, ეხპაირ“ („გამარჯობა, ძმაო“). (

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც შემოტანილია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის ფართო საფინანსო პროგრამას და სათანადო ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს მიმდინარე წლის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების განხორციელებას.

ვიდრე გადავიდოდეთ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაწვრილებით განხილვაზე, საჭიროა მოკლედ მოგახსენოთ 1956 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები და წინასწარი მონაცემების მიხედვით 1957 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები.

საქართველოს სსრ 1956 წლის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 3.281.545 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ დაზუსტებული გეგმის 101,4 პროცენტით, და გასავლის ნაწილში 3.254.082 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 100,6 პროცენტით. გასავალზე შემოსავლის გადამეტებამ 27.463 ათასი მანეთი შეადგინა.

დეპუტატებს მოეხსენებათ, რომ ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების მიმართულებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ აღებული კურსის თანახმად და გასულ წელს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ძირეულ გარდაქმნასთან დაკავშირებით საკავშირო დაქვემდებარებიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამგებლობაში გადმოვიდა მრეწველობის სხვადასხვა დარგების, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის ბევრი საწარმო, განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-საკვლევი, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დარგების დაწესებულებები და ორგანიზაციები. ამასთან მთელი რიგი ორგანიზაციები და დაწესებულებები გადაცემულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასულ წელს დიდი მუშაობა იქნა გაწეული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო გეგმებისა და საბიუჯეტო დანიშნულების გადასაანგარიშებლად და როგორც რესპუბლიკურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტებში სათანადო ცვლილებების შესატანად.

ამრიგად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1957 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსავალი განისაზღვრა 4.832.844 ათასი მანეთით, რაც გასულ წელს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით გაზრდილია 32.6 პროცენტით, ხოლო გასავალი 4.827.315 ათასი მანეთით, ანუ გაზრდილია 33,1 პროცენტით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, წინასწარი მონაცემებით, შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 4.870.060 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ დაზუსტებული გეგმის 100,8 პროცენტით, ხოლო გასავალში 4.795.271 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 99,3 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე გასულ წელს წინასწარი მონაცემებით დახარჯა 2.096.303 ათასი მანეთი, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 2.482.890 ათასი მანეთი, რის შედეგადაც რესპუბლიკაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სამეურნეო და კულტურული ღონისძიებანი.

სახელმწიფო პენსიების ახალი კანონის გატარებასთან დაკავშირებით გასულ წელს რესპუბლიკაში შრომის პენსიებზე, წინასწარი მონაცემებით, დაიხარჯა 485 მილიონ მანეთზე მეტი ნაცვლად ამ მიზნისათვის 1955 წელს დახარჯული 172 მილიონი მანეთისა.

საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოსავლის ნაწილში 5.339.467 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 5.339.467 ათასი მანეთის ოდენობით.

გასული 1957 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით რესპუბლიკის 1958 წლის ბიუჯეტის შემოსავალი მატულობს 506.623 ათასი მანეთით, ანუ 10,5 პროცენტით, გასავალი კი 512.152 ათასი მანეთით, ანუ 10,6 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავლის ასეთი ზრდა გათვალისწინებულია წარმოებისა და საქონელბრუნვის გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შიდასამეურნეო დაგროვების შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის საგეგმო მაჩვენებლების საფუძველზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობაში რესპუბლიკური ბიუჯეტი შეადგენს 3.388.935 ათას მანეთს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების 1958 წლის ბიუჯეტების საერთო მოცულობა 1.950.532 ათას მანეთს.

ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარი შემოსავალი გათვალისწინებულია 552.959 ათასი მანეთის ოდენობით, ანარიცხები სახელმწიფო შემოსავლიდან და გადასახადებიდან შეადგენს 1.170.641 ათას მანეთს; რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დოტაციის სახით ადგილობრივ ბიუჯეტებს მიეცემა 226.932 ათასი მანეთი.

1958 წელს ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან სახალხო მეურნეობის დაფინანსებას მოხმარდება 390.811 ათასი მანეთი და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს 1.457.906 ათასი მანეთი.

ბიუჯეტის შემოსავალი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს სოციალისტური მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც შეადგენს 4.601 მილიონ მანეთს, ანუ საერთო შემოსავლის 86,2 პროცენტს.

სოციალისტური მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალში ხვედრითი წონის მიხედვით დიდი ადგილი უჭირავს ბრუნვის გადასახადს, რომლის ანარიცხები რესპუბლიკის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2.475,8 მილიონი მანეთი; სახელმწიფო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხების შემოსვლა გათვალისწინებულია 1.203,2 მილიონი მანეთის ოდენობით.

მოგების ანარიცხების საერთო თანხიდან სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებზე მოდის 547.892 ათასი მანეთი. ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით გათვალისწინებულია: საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსაგან — 141.122 ათასი მანეთი, ვაჭრობის სამინისტროსაგან — 113.790 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან — 24.088 ათასი მანეთი, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსაგან — 177.302 ათასი მანეთი, მათ შორის ადგილობრივი მრეწველობიდან — 91.161 ათასი მანეთი, პურეული პროდუქტების მთავარი სამმართველოსაგან — 62.882 ათასი მანეთი, კავშირგაბმულობის სამინისტროსაგან — 62.184 ათასი მანეთი, მშენებლობის სამინისტროსაგან — 34.091 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის 1958 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემოსავალი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისაგან 57.1 მილიონი მანეთის, სატყეო შემოსავალი 24.4 მილიონი მანეთის და კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი 205.6 მილიონი მანეთის ოდენობით. აღნიშნული წყაროებიდან შემოსავალი მიმდინარე წელს მთლიანად ჩაირიცხება რესპუბლიკის ბიუჯეტში, ნაცვლად ნაწილობრივი ჩარიცხვისა, რაც აქამდე ხდებოდა.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი 1958 წლიდან გატარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის სექტემბრის ბრძანებულების საფუძველზე. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულია, რომ დაბეგვრიდან გამორიცხება კოლმეურნეობათა საწარმოო საჭიროებებისათვის წარმართული მთელი შემოსავალი.

დეპუტატებს მოეხსენებათ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით მიმდინარე წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადისაგან გათავისუფლებულია ყველა მოქალაქე, რომლებსაც შვილები ჰყავთ, აგრეთვე უშვილო მარტოხელა ქალები (გაუთხოვარი და ქვრივები). ამ კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გადასახადის კონტინგენტი შემცირდება დაახლოებით 80 მილიონი მანეთით.

მაშინ, როცა სოციალისტური მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 86 პროცენტს აღემატება, მოსახლეობის გადასახადების ხვედრითი წონა ბიუჯეტში მცირდება და შეადგენს 7,7 პროცენტს.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1957 წელს ხელისმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის გარდამავალი თანხების შემოსვლა 38 მილიონი მანეთის ოდენობით, რომლის უკანასკნელი შესატანი გადახდილ იქნება 1958 წლის თებერვლის ხელფასიდან.

მოსახლეობის შემოსავლის ზრდა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება ხელსაყრელ პირობებს ქმნის შემნახველ სალაროებში ანაბრებისა და სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის სახით მოსახლეობის სახსრების მოსაზიდავად.

ამჟამად 635 ათასზე მეტი მშრომელი ინახავს საქართველოს რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში ანაბრების სახით 1 მილიარდ 402 მილიონ მანეთს.

სულ უფრო ფართოვდება აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევა.

1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭომ, ყველა სამინისტრომ და უწყებამ, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უკეთ უხელმძღვანელონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ბიუჯეტის გასავალი

1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ხარჯები სახალხო მეურნეობაზე შეადგენს 2.281,4 მილიონ მანეთს, ანუ ბიუჯეტის საერთო მოცულობის 42,7 პროცენტს, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე 2.719,8 მილიონ მანეთს, ანუ 50,9 პროცენტს. ამრიგად, ბიუჯეტის სახსრების 93,6 პროცენტი გამოყენებულ იქნება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ღონისძიებებზე.

გარდა ამისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა სამინისტროები და უწყებები დიდი ოდენობით გაიღებენ საკუთარ სახსრებს სახალხო მეურნეობის განვითარების საჭიროებებზე. ასეთი თანხების დახარჯვა 1958 წელს გათვალისწინებულია 1.897,9 მილიონი მანეთის ოდენობით. ამრიგად, მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის განვითარებას მოხმარდება, ბიუჯეტის და საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი წყაროების ჩათვლით, 4.179,3 მილიონი მანეთი, რაც 271 მილიონი მანეთით აღემატება გასული წლის დაზუსტებულ გეგმას.

მრეწველობის და მშენებლობის დაფინანსება

მრეწველობისა და მშენებლობის დასაფინანსებლად რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტით 1958 წელს დაიხარჯება 1.160 მილიონი მანეთი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან 1.296 მილიონი მანეთი, სულ კი 2.456 მილიონი მანეთი, მათ შორის სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი მრეწველობის დასაფინანსებლად ბიუჯეტი გაიღებს 1.072,2 მილიონ მანეთს, ხოლო საკუთარი სახსრებიდან დაიხარჯება 1.094 მილიონი მანეთი, სულ კი 2.166,2 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ასიგნობანი მძიმე მრეწველობის დარგების, კერძოდ, მეტალურგიული, ქიმიური, ქვანახშირის, ნავთობის ენერგეტიკული, მანქანათსამშენებლო და სამთამადნო მრეწველობის განვითარებაზე შეადგენს 938,7 მილიონ მანეთს, გარდა ამისა, ამ საწარმოთა საკუთარი სახსრებიდან დაიხარჯება 583.9 მილიონი მანეთი, სულ კი 1.522,6 მილიონი მანეთი.

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კვების, საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობას. ამ დარგების განვითარებაზე ბიუჯეტით და საწარმოთა საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებულია 507.9 მილიონი მანეთი.

კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა სახალხო-სამეურნეო გეგმით 1958 წელს გათვალისწინებულია 1.811 მილიონი მანეთის ოდენობით, ხოლო მშენებლობაში საბრუნავი სახსრების ზრდაზე დანახარჯების მხედველობაში მიღებით 1.815 მილიონი მანეთი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის არსებულ შესაძლებლობებს. რესპუბლიკის მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ; მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი დაბალია, ხოლო ღირებულება დიდი; ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციაში სუსტად იყენებენ ტექნიკას, არის მასალების გადახარჯვისა და მუშების მოცდენის შემთხვევები ყოველივე ეს იწვევს სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების გადიდებას.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების შემცირება მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია საშუალოდ 4,5 პროცენტით.

ჯერ კიდევ ვხვდებით კაპიტალურ დაბანდებათა სახსრების დაქუცმაცებას მრავალ სამშენებლო ობიექტზე, რაც იწვევს მშენებლობის დამთავრების ვადების გაჭიანურებას და მისი ღირებულების გაძვირებას.

მაგალითად, საქართველოს კომუნალური ბანკის მონაცემებით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საექსპლოატაციოდ გადასაცემი 8 ობიექტი უზრუნველყოფილი არ იყო დაფინანსების სათანადო ლიმიტებით, მაშინ როცა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში გათვალისწინებულ იქნა 17 ახალი ობიექტის მშენებლობა, ამასთან ამ ახალი ობიექტებიდან 12 უზრუნველყოფილი არ იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. მსგავს შემთხვევებს სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხაზითაც ვხვდებით.

მმართველობის მიახლოებამ საწარმოებთან და მშენებლობებთან და უწყებრივი ბარიერების ლიკვიდაციამ შექმნა დიდი შესაძლებლობანი წარმოების უკეთესი ორგანიზაციისა და მეურნეობაში მატერიალური და ფულადი რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის.

ადგილობრივი მრეწველობის ხაზით 1958 წელს დასახულია პროდუქციის გამოშვების დიდი გეგმა. გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობით იქნება გამოშვებული საშენი მასალები და ფართო მოხმარების საგნები.

1958 წელს. კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებული გეგმების გადამეტებით, ადგილობრივი მრეწველობის გაფართოებაზე ამ საწარმოთა მოგებიდან დაიხარჯება 103 მილიონ 440 ათასი მანეთი.

ეს გარემოება ავალებს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისადმი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გასული წლის 9 თვეში ზოგიერთმა რაიონმა ვერ აითვისა საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრები.

მიმდინარე წელს საგრძნობლად იზრდება საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დაფინანსება ბიუჯეტიდან. ნაცვლად 1957 წელს გათვალისწინებული 15,3 მილიონი მანეთისა, 1958 წელს ამ მიზნით ბიუჯეტით დაიხარჯება 22 მილიონი მანეთი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1957 წლის ნოემბერში სპეციალურად განიხილა რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის საკითხი და დაავალა სათანადო უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს მიიღონ ღონისძიებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

1958 წლის ბიუჯეტით ასიგნობანი რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვასა და რემონტზე გათვალისწინებულია 177,1 მილიონი მანეთის ოდენობით, ე. ი. წინა წელთან შედარებით ზრდა 13 მილიონ მანეთის შეადგენს.

საპროექტო ორგანიზაციების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბიუჯეტის წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულებას და ზოგიერთი მათგანი სათანადო კონტროლს არ უწევს ხელფასის ფონდების ხარჯვას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსება

1958 წელს დაბანდებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში 614 მილიონ მანეთს შეადგენენ, მათ შორის ბიუჯეტიდან 463,9 მილიონ მანეთს და მოგებისა და სხვა საკუთარი წყაროების ხარჯზე — 150,1 მილიონ მანეთს.

ხარჯები მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 206,6 მილიონი მანეთი, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებზე 90,6 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკის მტს-ებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით 1957 წელს შეასრულეს 2.933 ათასი ჰექტარი სატრაქტორო სამუშაოები რბილ ხვნაზე გადაყვანით, ანუ გეგმის 110,3%. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მტს-ის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს: ირღვევა კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ვადები, არის მინდვრის სამუშაოთა პერიოდში ტრაქტორებისა და კომბაინების მოცდენის ფაქტები, რემონტის დაბალხარისხოვნად შესრულების, საწვავის გადახარჯვისა და საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

1958 წლის 1 იანვრიდან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დაფინანსება წარმოებს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ხოლო მტს-ების შემოსავალი მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციებისა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსებაზე 1958 წელს გამოიყოფა 267,2 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 144,7 მილიონი მანეთი.

1958 წლის ბიუჯეტით წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე გათვალისწინებულია 71 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდებული იქნება 45,3 მილიონი მანეთი, მათ შორის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე 16 მილიონი მანეთი.

მნიშვნელოვანი თანხებია გათვალისწინებული ტყე-კულტურების სამუშაოებზე და სატყეო მეურნეობის განვითარებაზე. 1958 წლის ბიუჯეტიდან ამ ღონისძიებებზე გამოყოფილი იქნება 41,6 მილიონი მანეთი, ანუ 9 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მუდმივ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის, ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის და კულტურის სისტემატური ამაღლებისათვის მოწმობს ბიუჯეტის ხარჯების ზრდა სახალხო განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 2.719,8 მილიონი მანეთი, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტებით დაიხარჯება 1.457,9 მილიონი, ხოლო რესპუბლიკური ბიუჯეტით 1.261,9 მილიონი მანეთი.

სახალხო განათლებასა და კულტურაზე ბიუჯეტით გამოყოფილი 1.394,3 მილიონი მანეთიდან ბავშვთა საერთო განათლებისა და აღზრდის დაწესებულებათა შენახვაზე დაიხარჯება 846,7 მილიონი მანეთი.

სულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენახვაზე ნავარაუდევია დაიხარჯოს 71.165 ათასი მანეთი.

მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წელს გათვალისწინებულია კინოფესტივალის გადიდება 100 კინოდანადგარით. ამრიგად, 1958 წელს მოქმედებაში იქნება 953 კინოდანადგარი.

უმაღლეს სასწავლებლებზე, სპეციალურ საშუალო სკოლებზე და კადრების მომზადებისა და გადამზადების სხვა დაწესებულებებზე წელს ბიუჯეტიდან დაიხარჯება 208.732 ათასი მანეთი.

საგრძნობლად იზრდება ასიგნობანი ბიუჯეტიდან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა შენახვაზე და სამეცნიერო მუშაობის შემდგომ განვითარებაზე. ამ დანიშნულებით რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 206,5 მილიონი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 40,1 მილიონი მანეთით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების შენახვასა და სამეცნიერო მუშაობაზე გათვალისწინებულია 103,2 მილიონი მანეთი.

ახალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები შეიქმნება აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში. სულ ამ სამინისტროს სამეცნიერო დაწესებულებათა შენახვაზე 1958 წელს დაიხარჯება 30,1 მილიონი მანეთი.

ხელოვნების, ლიტერატურის, რადიომაუწყებლობის და ტელევადაცემათა შემდგომ განვითარებაზე ნავარაუდევია ბიუჯეტიდან დაიხარჯოს 41.496 ათასი მანეთი. გარდა ამისა, აღნიშნულ ღონისძიებებზე ამ დაწესებულებათა საკუთარი სახსრებიდან დაიხარჯება 47.670 ათასი მანეთი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 662,5 მილიონი მანეთი, რაც 1957 წელთან შედარებით გაზრდილია 41,2 მილიონი მანეთით.

რესპუბლიკის ბიუჯეტით ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზე გათვალისწინებულია 20 მილიონი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მშრომელმა ხალხმა დიდი დახმარება მიიღო სახელმწიფოსაგან პენსიების ახალი კანონის სახით.

მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაზე 1958 წელს ბიუჯეტიდან დაიხარჯება სულ 643 მილიონი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 104,1 მილიონი მანეთით. აქედან სოციალური დაზღვევის სახსრებიდან პენსიებსა და დახმარებებზე გაიცემა 590,9 მილიონი მანეთი.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახი ხარჯები 1958 წლისათვის გათვალისწინებულია 186.203 ათასი მანეთის ოდენობით.

სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სამინისტროებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა აღმასკომებმა და საფინანსო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მმართველობის აპარატის შესანახ ხარჯებში ზედმეტობათა აღმოსაფხვრელად, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის გასაძლიერებლად, რათა უზრუნველყონ მმართველობის ხარჯების შემცირების შესახებ მთავრობის დავალებათა აუცილებელი შესრულება.

განვამგჯიცოთ საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსები

რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარებაში გადაცემული სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობის სამეურნეო საქმიანობას.

რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მთელი მოცულობის 80 პროცენტი სახალხო მეურნეობის საბჭოს დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მოდის. დიდი ხვედრითი წონა აქვს აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტში ამ საწარმოებიდან მოგების ანარიცხებს. აქედან ნათლად ჩანს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალთა გეგმების შესრულება და გადაჭარბება, მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო ამჟამად ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მის გამგებლობაში მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

გასულ წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, ამასთან 11 თვის მონაცემების მიხედვით მიღწეულია მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირება 38 მილიონი მანეთის ოდენობით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა ღრმად უნდა შეისწავლონ საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები და გაატარონ ღონისძიებანი მათ აღსაკვეთად.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, მხურვალედ მოიწონეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების მიერ მიღებული დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი და ამ თათბირების შედეგებისა და პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებები.

ჩვენი რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, თავდადებით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ახალ წარმატებათა მოპოვებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

რედაქტორი პ. რატიანი.

ელიკო გოდერძიშვილი იუწყება დის ოლღა ნიკოლოზის ასულ გოდერძიშვილი-ბერიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-1, 3 ს. ათარბეგოვის ქ. № 14.

მეუღლე მარიამ, შვილი ნინო ქავეარაძეები, სიძე გიორგი მანჯგალაძე ოჯახით იუწყებიან ვახო გიორგის-ძე ქავეარაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 8 ს. ვამოსვენება 19-1, 4 ს. პეროვსკაიას ქ. № 8 (დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე).

დედა ბაბილინა, ძმა ვლადიმერ, და თამარ, რძალი ვერა ვახტანგაძეები, მეუღლე მიხეილ, შვილი არჩილ ელბაქიძეები იუწყებიან ელენე სამსონის ასულ ვახტანგაძე-ელბაქიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-I, 7 ს. გამოსვენება 19-I, 2 ს. ხრამჰესის ქ. № 29.

მოხსენება იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.